პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 105 (4615)

1972 წ. 31 მაისი, ოთხშაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩი მსოფლიო პირველობისთვის

მოსწავლეთა რესპუბლიკური...

სამი ლიდერი ფეხბურთში

დამთავრდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ხელბურთსა და სპორტულ ტანვარჯიშში. გრძელდება ტურნირები ფეხბურთში, მხატვრულ ტანვარჯიშში, დღეს კი სტარტს აიღებენ მძლეოსნები და ველოსიპედისტები.

ხელბურთელთა შეჯიბრების ბოლო ტური ასეთი შედეგებით აღინიშნა: გოგონები. თბილისი — აჭარა 20:9, აფხაზეთი — ქუთაისი 13:11, ფოთი — რუსთავი 12:11; ჭაბუკები. თბილისი — აფხაზეთი 20:18, აჭარა — ფოთი 28:28, ქუთაისი — სამხრეთ ოსეთი 30:19. გოგონებშიც და ჭაბუკებშიც პირველობა მოიპოვეს თბილისელებმა.

სპორტულ ტანვარჯიშში I ჯგუფის ჭაბუკთა გუნდებს შორის უველას აჯობა თბილისის ნაკრებმა, II ჯგუფში კი უძლიერესი იყო გარდაბნის რაიონის გუნდი. ოსტატთა პროგრამით მოსპარეზეებში გაიმარჯვა თბილისელმა ა. ცინცაძემ, პირველთანრიგოსნებში — ქუთაისელმა ზ. ძნელაძემ, მეორეთანრიგოსნებში — გორელმა ი. იაკობაშვილმა.

ფეხბურთელთა შეჯიბრების მესამე ტურის მატჩი ფოთისა და აფხაზეთის გუნდებს შორის ფოთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. წვიმის გამო გადაიდო ჭეოთხე ტურის მატჩები. 3 ტურის შემდეგ თბილისის, ქუთაისისა და გორის კოლექტივებმა 4-4 ქულა დააგროვეს. აფხაზეთის, აჭარისა და ფოთის ნაკრებ გუნდებს 2-2 ქულა აქვთ.

ნინა დრონოვა: „იმედით შევყურებ“

„ეთი ათასი იმედის გოგონა“ — ასე უწოდეს ამომავალი მზის ქვეყანაში, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს „ტანვარჯიშულ სახელმწიფოში“, ნორჩ თბილისელ სპორტსმენს ნინა დრონოვას. თანამედროვე სპორტმა, მით უმეტეს ცურვამ და ტანვარჯიშმა, ფართო სარბიელი გადაუშალა ნორჩებს. სპორტი ბოლო წლებში, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელშუა გაახალგაზრდავდა. ამ გაახალგაზრდავების ფონზეც კი ერთობ თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ნ. დრონოვას უზადო ტალანტი. 13 წლის ასაკში, თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა გოგონამ ტანვარჯიშის მთელი სამყარო აალაპარაკა.

მაგრამ ამ ბოლო დროს დიდი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეთა შორის დრონოვას ვეღარ ვხედავთ. რა მოხდა? ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევს ტანვარჯიშის მრავალრიცხოვან მოყვარულებს და, კერძოდ, ამ მომხიბლავი გოგონას ნიჭის თაყვანისმცემლებს. რედაქციაში შემოდის წერილები — მკითხველებს აინტერესებთ ნინა დრონოვას „ბედ-იღბალი“.

გუშინწინ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა „ათი ათასი იმედის გოგონას“.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემი ბედით ტანვარჯიშის ესოდენ ბევრი მოყვარულია დაინტერესებული. წინასწარ გეტყვით: საშიში არაფერია. უბრალოდ, ერთ-ერთი ვარჯიშის დროს უხერხული მოძრაობის შედეგად ხელის მტევანი დავიშავე.

● **საშიშია თუ არა ეს ტრავმა?**

— ექიმებს მიაჩნიათ, რომ მკურნალობის პროცესმა ხელი ვერ უნდა შემიშალოს მიუნჰენის ოლიმპიადისთვის მზადებაში. ჯერჯერობით, როგორც ხედავთ, მარჯვენა ხელი თაბაშირში მაქვს. ღმერთმანი, ექიმებმა უფლება რომ მომცენ, დღესვე შევიხსნიდი თაბაშირს და... (ამ სიტყვებზე ნინას გულღიად ეღიმება). ეს ხუმრობაა, სიმართლე კი ის გახლავთ, რომ ნამდვილ ვარჯიშს ალბათ ერთი თვის შემდეგ შევუდგები. თუმცა დროს უქმად არც ახლა ვკარგავ. ეგრეთ წოდებული ტანვარჯიშული წვრთნის გარდა ჩვენს სახეობაში ათასგვარი სპეციფიკური ვარჯიშის ნაირსახეობაა, მაგალითად, ქორეოგრაფიული ელემენტები, პლასტიკური მოძრაობანი, არტისტიზმის გამომუშავება... რა თქმა უნდა, არ მავიწყდება საერთო ფიზიკური მომზადებაც.

ისე კი, სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს გული მწყდება, ამდენი დიდი და მნიშვნელოვანი შეჯიბრება რომ გამოვტოვე. და მაინც, მომავალს იმედით შევყურებ.

* * *

სურათზე: ნ. დრონოვა ვარჯიშის დროს.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმი).

მეშვიდე პარტია

ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ᲛᲒ3 e6 3. d4 cd 4. Მ:d4 ᲛᲒ6 5. ᲛᲒ3 d6 6. ᲙᲔ2 ᲛᲒ6 7. ᲙᲔ3 ᲙᲔ7 8. f4 0—0 9. 0—0 ᲔᲒ4 10. ᲛᲑ3 a6 11. a4 b6

კუშნირი აქ უკეთ თამაშობს, ვიდრე V პარტიაში, სადაც თავიდანვე სიძნელეებს წააწყდა.

გაფრინდაშვილი ცენტრში ერყვრის თავს ფიგურებს და მეფის ფლანგზე იერიშისთვის ემზადება, კუშნირი კი ლაზიერის ფრთაზე ამზადებს შეტევას.

12. ᲙᲒ3 ᲔᲑ8 13. ᲚᲔ2 ᲚᲒ8 14. ᲔᲐᲓ1 ᲛᲐ5 15. e5

გაფრინდაშვილი მყისვე სარგებლობს ცენტრის დაპყრობის შესაძლებლობით. სამაგიეროდ, კუშნირი ხაზებს ხსნის ლაზიერის ფრთაზე. ამით იგი კონტრთამაშს შეიღებს და მსოფლიო ჩემპიონის ინიციატივას შებოჭავს.

15. ᲛᲔ8 16. Მ:a5 ba 17. ᲙᲒ1 ᲔᲑ4 18. ᲙᲔ4

ნონამ საიერიშოდ გადაწყო თავისი ფიგურები და პაიკს სწირავს. უკეთესი ჩანს 18. ᲔᲓ3 Კ:a4 19. Მ:a4 Ე:a4 20. ᲔᲒ3 მეფეზე იერიშის განვითარებით.

18. ... Კ:a4 19. Მ:a4 Ე:a4 20. c3

მოულოდნელი მანევრი. დიდოსტატი ს. ფლორი ამბობდა, ალბათ მალე დადგება დრო, რომ თამაშს ქალებისგან ვისწავლითო. მართლაც, ამ სვლას პრეს-ცენტრში ეერავინ მიხვდა, იმდენად ორაზროვანია პოზიციურია და ახშობს შავების მუქარას ლაზიერის ფრთაზე.

20. ... g6 21. ᲙᲓ3 de 22. Კ:a6 ᲚᲑ8

ბევრად ჯობდა 22. ... ᲚᲐ8 მუქარით ᲔᲒ4. ახლა ჩემპიონი კიდევ უფრო თვალსაჩინო პოზიციურ უპირატესობას იღებს, მაგრამ პრეტენდენტი როდი იბნევა: მოთმინებით ქმნის კონტრშანსებს.

23. fe ᲔᲰ4 24. ᲔᲓ7 ᲙᲓ8

ანტიმანევრი. კუშნირმა თვალი დაადგა ნონას მეფეს, რომელსაც ამალა შემოეცალა.

25. ᲔᲑ7 ᲚᲐ8 26. g3

ეს სვლა ი. გიპსლისს არ მოეწონა. „ასეთ პოზიციაში დიდი სიფრთხილეა საჭირო. h1-a8 დიაგონალის გახსნა საბიფათო ჩანს“, — თქვა მან და სწორიც გამოდგა.

26. ... ᲔᲰ5 27. b4 ab

ეს გაცვლა აუცილებელი იყო, თორემ b და c პაიკები წინ წავიდოდნენ.

28. cb ᲛᲒ7 29. b5 ᲛᲓ5 30. ᲙᲐ3 ᲙᲑ6+ 31. ᲛᲒᲰ1 ᲔᲓ8

კუშნირმა ამ სვლაზე დიდხანს იფიქრა. ყველა მოელოდა 31. ... ᲔᲑ8 32. Ე1:f7 Ე:b7 33. Ე:b7 ᲔᲤ5 34. ᲚᲒ4 g5! მწვავე თამაშით, თუმცა, ურიგო არც ეს გაგრძელება.

32. Ე1:f7 ᲛᲒ3

შეჯიბრების მთავარი მსაჯის ვ. მიკენასის აზრით, 32. ... ᲙᲒ7 შემდეგ თამაში უკიდურესად რთულდებოდა. თეთრების წინაშე ახალი პრობლემები დადგებოდა e პაიკის დასაცავად.

33. ᲔᲒ7+

გაფრინდაშვილს შეეძლო უკეთესი ენდშპილის მიღება. 33. ᲚᲒ3 ᲔᲓ1+ 34. Ლ:d1 Მ:d1 35. ᲔᲤ8+ Ლ:f8 36. Კ:f8 ᲛᲒ:f8 37. Ე:b6 და b პაიკი თანდათან ლაზიერში გავა.

მსოფლიო ჩემპიონის კომბინაცია ლაზიერის შეწირვით, რომელიც პარტიაში განხორციელდა, ლამაზია, მაგრამ ყაიმის მეტს არაფერს იძლევა. პარტიის შემდეგ ნონამ გვითხრა, ᲔᲑ7-ის მძიმე მდგომარეობა მხედველობიდან ვამომრჩა, თორემ ორი ეტლით მამათს ვაცხადებდიო.

33. ... ᲛᲒᲰ8 34. Ლ:h5 gh 35. Ე:h7+ ᲛᲒᲒ8 36. ᲛᲒᲒ2

აქ ნონამ შეამჩნია, რომ არ შეიძლება 37. ᲔᲑᲒ7-ის თამაში, ვინაიდან მეფე „დაბმულია“.

36. ... ᲔᲑ8

ახლა მუდმივი ქიში თეთრების მხრიდან უკვე იძულებითია, ამიტომ მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

რა თქმა უნდა, გაფრინდაშვილი გულდაწყვეტილი იყო, რომ პარტია ლოგიკური შედეგით ვერ დაამთავრა.

კუშნირის სეკუნდანტმა ვ. იურკოვმა გვითხრა: „ეს ყაიმი ალასთვის გამარჯვების ტოლია, რაკი მძიმე პოზიციას ასე იოლად დააღწია თავი“.

თ. გიორგაძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

რიგა.

* * *

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5:2 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

მატჩის VIII პარტია დღეს ეიმართება.

სურათზე: მორიგი პარტიის დასაწყისი.

მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

ᲡᲐᲛᲘ ᲐᲠᲢᲘᲐᲜᲘ-72

● **ᲨᲕᲔᲪᲘᲜᲘ**, 29 მაისი. პოლონეთის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ოთხმა საბჭოთა მოკრივემ საპრიზო ადგილები დაიკავა. პერმელმა პავლოვმა (მეორე ქვესაშუალო წონა) ფინალში ქულებით სძლია პოლონელ სტავსკის, ხოლო ლვოველმა მძიმეწონოსანმა გაჯიევმა ასევე ქულებით წააგო ფინალური ორთაბრძოლა პოლონელ ტრელთან. III ადგილები დაიკავეს ტაშკენტელმა შაბელნიკოვმა (მეორე საშუალო) და დაუგავპილსელმა ჩიტალკინმა (ქვემძიმე). ტურნირში 11 სახელმწიფოს 66 მოკრივე მონაწილეობდა.

„ლელო“ ინტერვიუ

მ ე ტ ი პოპულარობისთვის

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა ქართულ ჭიდაობაში წლევანდელი ზონალური შეჯიბრებების დებულება. ეს საინტერესო და უდავოდ სასარგებლო ღონისძიება მიზნად ისახავს რესპუბლიკაში ქართული ჭიდაობის შემდგომ პოპულარიზაციას, ახალგაზრდა მოჭიდავეთა ოსტატობის ამაღლებას და წლის მანძილზე გაწეული შრომის შემოწმებას. ზონალურ ტურნირებში, შემდეგ კი დასკვნითს, ასპარეზობაში, რომელიც თბილისში ჩატარდება, რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები თავისებურ ანგარიშს ჩაბარებენ დედაქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობას.

შეჯიბრებებში მონაწილე ქალაქები და რაიონები დაყოფილი არიან შემდეგ ზონებად:

I ზონა: ქალაქები სოხუმი, ტყვარჩელი, გუდაუთის, გალის, გულრიფშის, ოჩამჩირის; გაგრისა და სოხუმის რაიონები. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-11 ივნისს — ტყვარჩელში, 7-10 სექტემბერს — გუდაუთაში, 7-10 დეკემბერს — სოხუმში.

II ზონა: ქ. ბათუმი, ქობულეთის, ქედის, ხულოს, შუახევისა და ხელვაჩაურის რაიონები. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-11 ივნისს—ქობულეთში, 7-10 სექტემბერს — ქედაში, 7-10 დეკემბერს — ბათუმში.

III ზონა: ქ. ცხინვალი, ლენინგორის, ზნაურის, ჯავისა და ცხინვალის რაიონები. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-11 ივნისს — ლენინგორში, 7-10 სექტემბერს — ჯავაში, 7-10 დეკემბერს — ცხინვალში.

IV ზონა: ქ. გორი, კასპის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის, თიანეთის, დუშეთისა და გორის რაიონები. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-11 ივნისს — კასპში, 7-10 სექტემბერს — ხაშურში, 7-10 დეკემბერს — გორში.

V ზონა: ქ. რუსთავი, ხიდისღის, ლაგოდეხის, გურჯაანის, გარდაბნის, თელავის, ყვარლის, მარნეულის, ახმეტის, საგარეჯოს, წითელი წყაროს რაიონები. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-11 ივნისს — ყვარელში, 7-10 სექტემბერს — ახმეტაში, 7-10 დეკემბერს — თელავში.

VI ზონა: ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის რაიონები. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-11 ივნისს — ახალციხეში, 7-10 სექტემბერს — ადიგენში, 7-10 დეკემბერს — ბორჯომში.

VII ზონა: ქ. ქუთაისი, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, მესტიის, ლენტეხის, მაიაკოვსკის რაიონები. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-11 ივნისს — ცაგერში, 7-10 სექტემბერს — ონში, 7-10 დეკემბერს — ქუთაისში.

VIII ზონა: ქ. ფოთი, სამტრედიის, წულუკიძის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ვანის, თერჯოლის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონები. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-11 ივნისს — მახარაძეში, 7-10 სექტემბერს — თერჯოლაში, 7-10 დეკემბერს — სამტრედიაში

ყოველ წონაში გამარჯვებული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ ასპარეზობებში, რომლებიც თბილისში ჩატარდება სამჯერ: 22-25 ივნისს, 22-24 სექტემბერს და 21-24 დეკემბერს.

ზონალურ ტურნირებს წინ უძღვის რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკების ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებები. ზონალური შეჯიბრებები პირადია — ყოველ რაიონს გამოჰყავს 8 მოჭიდავე (თითო სპორტსმენი ყოველ წონითს კატეგორიაში). ყველა გუნდს უნდა ახლდეს ერთი მსაჯი.

სპორტსმენები — წესრიგის სადარაჯოზე

კანონიერებისაც ერთგული გუშაგი

საგარეჯოს სამართლიანად უწოდებენ მოჭიდავეთა მხარეს. აქ აღზრდილ სახელოვან ფალავანთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთ-ერთ მათგანზე მაინც განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ. იგი საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე დგას და პრინციპული მუშაობით საყოველთაო პატივისცემას იმსახურებს.

წარსულში სახელოვანი სამბისტი, სპორტის ოსტატი ბიჭიკო მარიდაშვილი საგარეჯოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამომძიებლო ჯგუფის გამომძიებელია. ქართული ჭიდაობა მან სოფელ გიორგიწმინდაში ისწავლა, იქ, სადაც ფეხი აიდგა და დაეუკაცდა „ხალიჩის მეფე“ არსენ მეკოკეშვილი. სწორედ ეს გოლიათი იყო ჭაბუკისთვის გზის მაჩვენებელი მისი სპორტული კარიერის გარიჟრაჟზე.

ჭიდაობა იმ პერიოდში ლაფანჩინთ უბანში იმართებოდა. პატარა ბიჭიკო ერთთავად იმის ცდაში იყო, რომ როგორმე პირველ რიგში გამძვრალიყო და, როგორც კი სურვილს აისრულებდა, გაფაციცებით ადევნებდა თვალს ფალავანთა ჭიდილს.

რეგულარული მეცადინეობა ბან უფრო მოგვიანებით. IX კლასში დაიწყო. სუსტი აღნაგობის ჭაბუკი იყო და მწვრთნელები დიდხანს ურჩევდნენ სპორტის რომელიმე სხვა სახეობისთვის მოეკიდა ხელი. ჭაბუკმა ყურად არ იღო უფროსების დარიგება და ბოლოს და ბოლოს თავისუფალი ჭიდაობის სექციაში ჩაირიცხა.

მისი ნათლობა დიდ სარბიელზე 1956 წელს მოხდა, რესპუბლიკურ ჩემპიონატში. ახალბედა ათლეტი დამარცხდა. ერთხანს გულნატკენმა ბიჭიკომ გადაწყვიტა კიდეც გასცლოდა სარბიელს, მაგრამ ამხანაგებმა გაამხნევეს — საგარეჯოელი ასე ადვილად ვერ დაანებებს თავს ჭიდაობასო.

მარიდაშვილი გულმოდგინედ შეუდგა წვრთნას, ჭიდაობის საიდუმლოებათა შესწავლას და წარმატებასაც მიაღწია. 1959 წელს იგი სპორტის ოსტატი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში. შემდეგ სწავლა დაიწყო ფიზკულტურის ინსტიტუტში და მეორედ შეასრულა ოსტატის ნორმატივი, ამჯერად სამბოში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბიჭიკო მარიდაშვილმა სწავლა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე განაგრძო, მაგრამ სულ მალე საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. ბიჭიკომ აქაც გამოიჩინა თავი როგორც წესიერმა მებრძოლმა და სპორტსმენმა. იგი ორჯერ გახდა შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონი სამბოში.

აქედან იწყება მარიდაშვილის საბოლოო გატაცება სამბოთი. მას ბევრი ჯილდო აქვს მიღებული საკავშირო ჩემპიონატებში. თორმეტჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი: ექვსჯერ — სამბოში, ოთხჯერ — თავისუფალ და ორჯერაც ქართულ ჭიდაობაში. მარიდაშვილის, როგორც სპორტსმენის ჩამოყალიბებას, მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი ხელმძღვანელობდა.

... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბიჭიკო მარიდაშვილი მშობლიურ რაიონს მიავლინეს შინაგან საქმეთა განყოფილების სიხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორის თანამდებობაზე. აქ მან მხოლოდ წელიწადნახევარს იმსახურა, მაგრამ ბევრი მუქთახორა და ქურდი ჩამოაცილა ჩვენს საზოგადოებრიობას. მალე მარიდაშვილი მილიციის მოწინავე მუშაკთა რიგებში ჩადგა და რამდენიმე მადლობა მიიღო. რაიონში არავის გაკვირვებია, როცა იგი გამომძიებლის თანამდებობაზე დააწინაურეს.

აი, რა აზრისაა მასზე საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი, მილიციის კაპიტანი რ. ტაბატაძე:

— ბიჭიკო მარიდაშვილი კარგად ართმევს თავს მოვალეობას, ენერგიულად და გონივრულად საქმიანობს. მისი მთავარი მიზანია სწრაფად და ოპერატიულად გახსნას დანაშაული, ამხილოს ბოროტმოქმედი და კანონის სამსჯავროზე გამოიტანოს. მარიდაშვილი რაიონის მშრომელთა დიდი პატივისცემით სარგებლობს.

... თებერვლის ერთ სუსხიან ღამეს საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში ბოროტმოქმედმა ტექნიკური ხერხის გამოყენებით უნივერსალური მაღაზია გაძარცვა და 780 მანეთის საქონელი ეიტაცა. სულ მალე შემთხვევის ადგილზე გაჩნდა ოპერატიული ჯგუფი მარიდაშვილის ხელმძღვანელობით. ბოროტმოქმედის კვალი დაკარგული იყო, მაგრამ ოპერატიული ჯგუფის დაუღალავმა რეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო: დამნაშავეს წითელწყაროში მიაგნეს და დააკავეს.

გამომძიებელი მუდამ პოსტზეა, ფხიზლად სდარაჯობს სოციალისტურ საკუთრებას და ჩვენი საზოგადოებრიობის დოვლათს.

ვ. ქოგელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

საგარეჯო:

* * *

სურათზე: ბ. მარიდაშვილი.

ვ ა რ ა უ დ ი არ გამართლდა

თბილისში, ლენინის სახელობის სტადიონზე, დედაქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გამართულმა საშუალო ასაკის მძლეოსანთა ტურნირმა ესტაფეტა უფროსი ასაკის მოსწავლეებს გადასცა. ამ ასაკის სპორტსმენებმა კიევში საკავშირო სპარტაკიადაში უნდა იასპარეზონ და ამიტომ მაღალი შედეგები იყო მოსალოდნელი. მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა.

პირველი თანრიგის შედეგები მარტო სიგრძეზე მხტომელ ჭაბუკებში გამარჯვებულმა გ. გუნჩინმა (ლენინის რაიონი—695 სმ) და ბადროს მტკიცნელ გოგონათა შორის უძლიერესმა ნ. ლაბაძემ (პირველი მაისის რაიონი — 46,18 მ) აჩვენეს. ლაპაძემ ერთ-ერთ ცდაზე ბადრო 49,36 მეტრზე ტყორცნა, მაგრამ უხეირო სექტორის გამო წონასწორობა დაკარგა და შედეგი არ ჩაითვალა.

გუნდურ ტურნირში, როგორც საუალო ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში, აქაც ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ 26 კომისრის რაიონის მძლეოსნები, რომლებმაც 20832 ქულა მოაგროვეს. პირველი მაისის რაიონის სპორტსმენები 10536 ქულას დასჯერდნენ, მესამე პრიზიორი — ლენინის რაიონის ნაკრები კი 9270 ქულას.

26 კომისრის რაიონის წარმომადგენლებმა პირად ტურნირში 12 გამარჯვება დაისაკუთრეს. ორ-ორი I ადგილი მოიპოვეს ამ რაიონის მოსწავლეებმა ტ. მატიცინამ — 400 და 800 მეტრზე რბენაში (1.00,3 და 2.18,6), ი. არჯევანიძემ — 1500 და 3000 მეტრზე შეჯიბრებაში (4.07,4 და 9.13,4), ლ. კოვალიოვამ — ბირთვის კვრასა და შუბის ტყორცნაში (12,50 და 35 მ). პირველი მაისის რაიონის მოსწავლეებიდან ასეთ წარმატებას მხოლოდ თ. დრიაევამ მიაღწია, რომელმაც 100 და 200 მეტრზე რბენა მოიგო — 13,2 და 27,7.

საკავშირო შეჯიბრებაში უფროსი ასაკის მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების პერსპექტივებზე ამჯერად ვერაფერს ვიტყვით. საქმე ისაა, რომ თბილისელთა გარდა გუნდში რესპუბლიკის სხვა სპორტსმენებიც ჩარიცხეს, რომლებსაც თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი შეარჩევს.

გთავაზობთ თბილისის ტურნიროში უძლიერესთა მაჩვენებლებს და დავუმატებთ, რომ 28 სახეობაში სპორტსმენებმა 35 მეორე თანრიგის შედეგს მიაღწიეს, რაც თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ბევრად ნაკლებია.

სპეციალისტები დაბალ შედეგებს აქაც სარბიელის უხეირობით ხსნიან. ვნახოთ როგორ გამოიჩენენ თავს მათი აღსაზრდელები რესპუბლიკურ ტურნირში, რომელიც დღეს იწყება.

* * *

გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებს:

გოგონეები. 1500 მეტრზე რბენა. ნ. სუდაკოვაკაია (26 კომისრის რაიონი) — 5.04,5. **სიგრძეზე** და **სიმაღლეზე ხტომა.** ზ. კოსტრიკინა (ლენინის რაიონი) — 551 და 150. **ხუთჭიდი.** ვ. მინაკოვა (26 კომისრის რაიონი) — 2967 ქულა. **ბაბუკები. რბენა. 100 მ.** გ. ოგანეზოვი (ყალინინის რაიონი) — 11,2, **200 მ.** თ. აჯოევი (ორჯონიკიძის რაიონი) — 23,2. **400 მ.** ი. ბიბანოვი — 52,6, **800 მ.** ვ. სეხპოსოვი (ორიგი — 26 კომისრის რაიონი) — 2.02,4. **110 მეტრზე თარჯრბენი.** ვ. შუბინი (ლენინის რაიონი) — 17,3. **10 კმ-ზე სპორტული სიარული.** ნ. ქოქოშვილი (ორჯონიკიძის რაიონი) — 53.02 6. **სიმაღლეზე ხტომა.** ა. კუზნინ (26 კომისრის რაიონი) — 185. **სამხტომი.** გ. პლიევი (ლენინის რაიონი) — 13,40. **ჭოკით ხტომა.** ა. მარავსკი (ციროვის რაიონი) — 380. **ბადროს ტყორცნა.** ო. დიმელაშვილი (ორჯონიკიძის რაიონი) — 35.02. **შუბის ტყორცნა.** ვ. ხუბაევი (26 კომისრის რაიონი) — 54,60. **ეროს ტყორცნა.** შ. აგაშევი (ციროვის რაიონი) — 50,64. **ბირთვის კვრა.** რ. ბენიაშვილი (ყალინინის რაიონი) — 12,08. **ათჭიდი.** ს. ზურნაჯიანი (პირველი მაისის რაიონი)—5017.

რ. მაღრაძე.

აუზიდან... აუზში

როდესაც გავიგეთ, რომ თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოცურავეთა შეჯიბრება ზანათლების განყოფილების 25-მეტრიან აუზში დაიწყო, გავოცდით (როგორც ცნობილია, მაისიდან მოცურავეთა ყოველგვარი შეჯიბრებები მხოლოდ 50-მეტრიან აუზში უნდა ჩატარდეს). ამას ისიც დემატა, რომ შეჯიბრება შემცირებული (!) პროგრამით დაიწყო.

წესებით, ყველა ტურნირი ოლიმპიური პროგრამით უნდა ტარდებოდეს. ამასთან, მოცურავეები ასაკობრივ ჯგუფებად უნდა დაიყონ, გადამწყვეტი სტარტისთვის კი 12 ან 16 საუკეთესო მოცურავე შეირჩეს ყოველ სახეობაში, დისტანციაზე და ასაკობრივ ჯგუფებში ცალ-ცალკე. ამ შემთხვევაში ქალაქის 12 ან 16 საუკეთესო მოცურავე რაიონულ შეჯიბრებებს უნდა დაესახელებინა, ასეთი ტურნირი კი მხოლოდ ოქტომბრის რაიონმა ჩაატარა.

ცურვაში საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელის ვ. გოიაშვილის საქმეში ჩარევის შემდეგ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა: შეჯიბრება საქართველოს სპორტკომიტეტის 50-მეტრიან საცურაო აუზში გადაიტანეს და ასპარეზობის პროგრამაც ოლიმპიური გახდა.

1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 29, ხოლო 400 მეტრზე ამავე სახეობაში 47 მოცურავე გამოვიდა სტარტზე. ასევე იმატა მონაწილე გოგონათა რიცხვმა სტაიერულ დისტანციებზე.

ჭაბუკთა შორის 37-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ა. იორდანიშვილმა ყველაზე მეტი — ხუთი გამარჯვება იზეიმა. ასევე ხუთჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვ. პროსკურინა (ლენინის რაიონი). იორდანიშვილი ერთადერთი იყო, ვინც სპორტის ოსტატის ნორმატივს გადაჭარბა (1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 18.25,8).

მოსწავლე ი. ლეკვეიშვილმა წლეულს „მხიარული დელფინის“ პირველ ეტაპზე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება, ახლა კი 12-13 წლის ბიჭების რესპუბლიკური რეკორდი განაახლა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში — 2.51,7.

საერთო გუნდური პირველობა ლენინის რაიონის ნაკრებმა მოიპოვა.

ა. ბურასაშვილი.

უკეთ მომარაგებისთვის

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის მასებში დასანერგად დიდი მნიშვნელობა აქვს აუცილებელი სპორტული ინვენტარით კოლექტივების მომარაგებას.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ქალაქში და რაიონში „საქსპორტვაჭრობის“ სპეციალური მაღაზიებია გახსნილი, სხვაგან კი ცალკე სექციები გამოყოფილი.

როგორ მარაგდება მაღაზიები შესაბამისი სპორტული ინვენტარით? ამ დღეებში ჭიათურაში ვიყავით და ამ საკითხითაც დავინტერესდით. „საქსპორტვაჭრობის“ მაღაზიაში ყურადღება მიიპყრო განცხადებამ — მიღებულია ახალი ფიზკულტურული კომპლექსისთვის საჭირო სპორტული ინვენტარიო. ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები მაღაზიას ფიზკულტურული კოლექტივების მოთხოვნების წესაბამისად აძლევენ დაკვეთას და საჭირო მიღების ამბავს უმალვე აწვდიან მომხმარებელს.

მაღაზიაში იმ დროს შევედით, როცა ხელყუმბარების, ბირთვების, საწონების, ჩოგბურთის ბურთების, სიგრძე-სიმაღლის საზომებისა და ტურისტული აღჭურვილობის ახალი წყება მიიღეს. გამგე ო. ლუტიძე საგონებელში იყო ჩავარდნილი: შენობა ისე ვიწროა, ეს ინვენტარიც კი ხეირიანად ვერ დაგვიბინავებიაო. აი, ამიტომაა, რომ ინვენტარის შემოზიდვა ნაწილ-ნაწილ ხდება და დამატებით დროს მოითხოვს.

კიდევ ერთი შენიშვნა: ფიზკულტურულ კოლექტივებში ბევრი ფოტომოყვარულია. მათ სურთ ფირზე აღბეჭდონ კომპლექსის ჩაბარების პირველი სტარტები, დაამზადონ სტენდები, მაგრამ საყვედურს გამოთქვამენ, რომ სპორტმაღაზიის ფოტოსექციაში დიდი ხანია არ გამოჩენილა ფოტოფირი, ქაღალდი და აუცილებელი ქიმიკატები.

თ. ბაჩიჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ჭიათურა.

ᲭᲘᲢᲠᲘᲡ, ᲒᲝᲚᲘᲡ, ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ

29 მაისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები.

„ნეფთჩი“ — „ზარია“ 3:1.

ვოროშილოვგრადელი ფეხბურთელები მეორედ დამარცხდნენ მიმდინარე ჩემპიონატში. ბაკოელებმა თავიანთ მეტოქეს არ დაუტოვეს მატჩის ხსნის არავითარი შანსი, როცა შესვენებამდე ბანიშევსკის, სტეკოლნიკოვისა და სმოლნიკოვის მიერ გატანილი ბურთებით დაწინაურდნენ ანგარიშით 3:0. ერთადერთი, რაც „ზარიას“ შეძლო, ეს იყო სტარკოვის საპასუხო გოლი.

ცსკა — „სპარტაკი“ 0:1.

ლიდერთა ჯგუფში მყოფმა არმიელებმა საკმაოდ დრამატულ სიტუაციაში წააგეს: გადამწყვეტი გოლი, რომელიც ცსკა-ს კარში გავიდა, ერთდროულად შეგვიძლია მივაწეროთ ორ მოთამაშეს — სპარტაკელ ჰუსაინოვს, რომელმაც 59-ე წუთზე კუთხური მოაწოდა, და არმიელთა მეკარე ასტაპოვსკის, რომელმაც აიღო ეს იოლი ბურთი, მაგრამ ვერ შეაჩერა იგი და საკუთარი ბადესკენ შეუცვალა მიმართულება.

„უაირათი“ — ასკ 1:2.

როსტოვის არმიელებს ჩემპიონატის სტარტზე ძალიან ცუდად ჰქონდათ საქმე. მაგრამ ბოლო ორ ტურში მათ 4 ქულა აიღეს და ოთხივე — სტუმრად. ალმა-ათაში არმიელებს გამარჯვება მოუტანა ანტონოვისა და ესკოვის ბურთებმა (23-ე და 77-ე წ.). საპასუხო გოლი სიომინმა გაიტანა (64-ე წ.).

„კარპატი“ — „დნეპრი“ 0:1.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა, რომელსაც საუცხოო მდგომარეობა აქვს საატურნირო ცხრილში, ახალ წარმატებას მიაღწია: 2 ქულა აიღო ლვოვში, მეტოქის მინდორზე. გოლი „კარპატის“ კარში 85-ე წუთზე გაიტანა ევსეენკომ.

„დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“ 2:2.

მინსკელები ორჯერ იყვნენ წინ ამ მატჩში და „ლოკომოტივმა“ ორივეჯერ შეძლო ეხსნა მდგომარეობა. მასპინძელთა მხრივ ბურთები გაიტანეს ვასილიევმა და ე. მალოფეევმა, ხოლო მოსკოველთაგან — ორივე გოლი — კოზლოვმა.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

ერევანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „არარატი“ და თბილისის „დინამო“. მატჩის ანგარიშია 2:0 ერევნელთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ანდრიასიანმა (44-ე წ.) და იშტოიანმა (47).

11 ივნისს საქართველოს ქალაქებში სტარტს აიღებს ნორჩ ფეხბურთელთა თასის რესპუბლიკური გათამაშება — „სიჭაბუკე“. უნდა ითქვას, რომ ეს შეჯიბრება რესპუბლიკური მასშტაბით პირველად ტარდება და მიზნად ისახავს გამოავლინოს 1956-57 წლებში დაბადებული ნიჭიერი ფეხბურთელები საქართველოს ნაკრებისთვის, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშებაში.

უნდა შეგახსენოთ, რომ ამ ტურნირებში ჩვენი რესპუბლიკის გუნდი 1968 წლიდან მოყოლებული ზედიზედ სამჯერ იყო საკავშირო თასის მფლობელი, ხოლო შარშან მხოლოდ რსფსრ-ს ნაკრებს ჩამორჩა და II ადგილი დაიკავა. ბუნებრივია, ამ კარგ ტრადიციას გინმტკიცება ესაჭიროება და ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ საპატიო ნადავლს კვლავ ჩვენ დავეპატრონოთ.

რესპუბლიკურ გათამაშებაში დაშვებულია 8 კოლექტივი: თბილისის 2 გუნდი, „დინამო“ (ბათუმი), „დინამო“ (სოხუმი), ცხინვალის ნაკრები, „ტორპედო“ (ქუთაისი), „მეტალურგი“ (რუსთავი) და „ფილა“ (გორი), რომლებიც თავიანთ დავას პირველობისთვის გადაწყვეტენ ოლიმპიური სისტემით, ესე იგი, წაგებული გამოეთიშება შეჯიბრებას.

რესპუბლიკური გათამაშების დებულებით, გამარჯვებულ გუნდს უფლება აქვს თავისი რიგები შეავსოს სხვა კოლექტივების ნიჭიერი ფეხბურთელებით. ეს საშუალებას მოგვცემს გზა მივცეთ პერსპექტიულ, ნორჩ მოთამაშეებს რესპუბლიკურ ნაკრებში.

ვუსურვოთ ჩვენს ნორჩებს თავი გამოეჩინოთ წინამდებარე საინტერესო შეჯიბრებებში.

ნ. ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ,
რესპუბლიკური სპორტკომიტეტის უფროსი მწვრთნელი ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში.

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐᲜ

საამუშაოდან დაბრუნებულმა მამამ პორტფელი გახსნა და ჩაგიდაზე მოლურჯო ფერის ფურცლების შეკვრა დადო.

— „სპორტლოტოს“ ბილეთები მოგიტანეთ, — ამაყად თქვა მან.

ყველაზე უმალ ყურები ბებიამ ცქვიტა.

— უჰ, რამდენი ხანია ლოტო არ მითამაშია. აღარ არის მოდაში, თუ რაშია საქმე?!

ბებიას ნათქვამზე მამას გაეცინა:

— ეს სხვა ლოტოა, დედი, „სპორტლოტო“.

— „სპორტლოტო“ რაღა ბედუნაა, — ჩაერია ლაპარაკში დედა, — არ კმარა, ტელევიზორით ყოველდღე ბურთის თამაშს რომ გადმოსცემენ? ამიტომ ვერ ვნახე „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“, მეშვიდე, მეცხრე და მეთხუთმეტე სერიები.

— მაგ ზღაპარს ფეხბურთი არ სჯობია? — შეეპასუხა მამა. — აჰა, ყველამ აიღეთ სამ-სამი ბილეთი და შეავსეთ!

— თქვენი იყოს ფეხბურთიც და „სპორტლოტიც“, — განაცხადა დედამ და სამზარეულოში გავიდა.

— არც მე მინდა ეგ თქვენი საეშმაკო ლოტო, — ჩაიჩიფჩიფა ბებიამ და ხელსაქმე განაგრძო.

ამ ლაპარაკში ბაბუას გამოეღვიძა, ტახტიდან წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა, ჩაახველა და მხოლოდ ამის შემდეგ იკითხა:

— რაო, რაო? მეც გამაგებინეთ, თქვე დალოცვილებო, რაშია საქმე?

— ეს „სპორტლოტოს“ ბარათებია. გინდა თამაში?

— გუშინ ძალიან რომ დამსვი ჭელევიზორთან საჭოთა ნაკრებისა და დასავლეთ გერმანიის გუნდის მატჩის საყურებლად, შენი საყვარელი ფეხბურთელები ვერ თამაშობენ და მე გინდა მათამაშო, მარაქაში გამრიო? თამაში კი არა, ძლივს დავათრევ წელს.

— კეთილი, მარტო მე ვითამაშებ „სპორტლოტოს“. ხუთი ათას მანეთს რომ ჩავიდებ ჯიბეში, მერე ნახეთ, — ნაწყენი კილოთი თქვა მამამ.

— რაო, რაო, ხუთი ათასიო? — წამოხტა ბაბუა.

— შეიძლება კი ხუთი ათასის მოგება? — ახლა კი დაინტერესდა დედა.

— ამ სიბერის ხანს ასეთ მოგებაზე არ იტყოდა კაცი უარს, — წელში გაიმართა და ისე თქვა ბებიამ.

— თუ მართლა ასეა, არც მე ვიტყოდი უარს, — ხელსაქმე ტახტზე დადო და ისე თქვა ბებიამ.

მამამ „სპორტლოტოს“ ბარათები თანაბრად გაგვიყო. მე უკვე ვიცოდი თამაშის წესები — გაზეთში წავიკითხე. მამას ჩემი წილი ბარათები გამოვართვი და მეორე ოთახში გასვლას ვაპირებდი, რომ ბებია გადამეღობა და ყურში ჩამჩურჩულა.

— შვილო, ჩვენს სახლში შენა ხარ ბურთის თამაშის პროფესორი, მე კი წინათ ლოტოს პროფესორს მეძახდნენ. ჰოდა, მე და შენ შევკრათ პირი და ჩვენებს პირში ჩალა გამოვავლოთ. ერთი მასწავლე, როგორ უნდა თამაში.

მე და ბებია საწოლ ოთახში ჩავიკეტეთ, მამა დანარჩენებს კონსულტანტობდა.

ჩვენ ორს შორის საინტერესო საუბარი გაიმართა:

ᲑᲔᲑᲘᲐ: მე ამისი არაფერი მესმის, სათვალითაც ვეღარ ვხედავ ამ ოცერ ციფრებს.

— სანამ ბაბუაშენს მივთხოვდებოდი, მარულისა და ლელობურთის ყურება მიყვარდა. მაგ მარულამ დამღუპა კიდეც!

— როგორ? — გაკვირვებულმა ვკითხე მე.

— მაშინ გადავეყარე ბაბუაშენს. რომ იცოდე, რა ცხენოსანი იყო! ახლა რომ ოცდაოთხი საათი ტახტზე გდია, მაშინ უნდა გენახა, ცხენს რომ მოაგელვებდა. ლელობურთსაც კარგად თამაშობდა. ჰოდა, ჩაწერე მარულა და ლელობურთი.

— ეგ სახეობები აქ აღნიშნული არ არის.

— აბა მარტო ფეხბურთია, ბიჭო? რა გახდა ეს ბურთის გორება!.. ეზოში გადაიხედავ, ბურთს თამაშობენ, ტელევიზორს ჩართავ, აქაც ბურთი.


5000!
5000!
5000!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ფეხბურთის სივრცე

თასი — „კარლ ცაისს“

ერთის „კარლ ცაისის“ ფეხბურთელთა გუნდმა გდრ-ის ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავა, მაგრამ გული მაინცდამაინც არ დასწყვეტია: თავისი ქვეყნის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ანგარიშით 2:1 სჯობია დრეზდენის „დინამოს“ და ამ საპატიო პრიზს დაეუფლა.

ეს „კარლ ცაისის“ მეორე წარმატებაა თასის გათამაშებებში. პირველად იგი თასს 1960 წელს დაეპატრონა, ორჯერ კი (1965 და 1968 წ.წ.) გათამაშების ფინალში გავიდა.

● ●

ჰარპერი კი არა, სმითი

ყოველი სეზონის შემდეგ შოტლანდიელი ფეხბურთის მომხმარებლები ტრადიციულად ასახელებენ ქვეყნის № 1 მოთამაშეს. როცა 1971-72 წლების სეზონი დამთავრდა, ლაურეატობის კანდიდატი ძირითადად ორი იყო — სმითი „გლაზგო რეინჯერსიდან“ და ჰარპერი „აბერდინიდან“.

ბევრი მოელოდა, რომ I ადგილი ამ კონკურსში ჰარპერს დარჩებოდა თუნდაც იმიტომ, რომ იგი დიდი შედეგიანობით გამოირჩევა და „ოქროს ბუცის“ პრეტენდენტიც გახლავთ.

მომხმხილველთა უმრავლესობამ სხვანაირად განსაჯა და შოტლანდიის № 1 ფეხბურთელად 1971-72 წლების სეზონში სმითი იქნა აღიარებული. აქ დიდი როლი ითამაშა „გლაზგო რეინჯერსის“ სერიოზულმა წარმატებამ საერთაშორისო ასპარეზზე, კერძოდ, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

● ●

„გუნდესლიგა“ უძლიერესია მსოფლიოში

ასე ფიქრობს ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი ხორვატი, რომელიც ახლა სათავეში უდგას გფრ-ის „ბუნდესლიგის“ კლუბ „შალკე 04“-ს. ზაგრებელ ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ბევრი ეროვნული ჩემპიონატისთვის უდევნებია თვალი, მაგრამ მიაჩნია, რომ ყველაზე ძლიერი გუნდები „ბუნდესლიგაშია“ თავმოყრილი. ხორვატის აზრით, ინგლისელებთან ერთად გერმანელები ახლა ყველაზე „საღ ფეხბურთს“ თამაშობენ.

ქორწილი სიკვდილის პარეცელზე

ამ რამდენიმე დღის წინ შორეული ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში უჩვეულო ქორწილი გადაიხადეს. გარეგნულად ყველაფერი ისევ ეიყო, როგორც სხვა მსგავსი ცერემონიის დროს იქნებოდა. მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, 26 წლის ნიჩბოსანი იან მაკ უირტერი (იგი ავსტრალიის „რვაადგილიანის“ შემადგენლობაში გამოდიოდა) და 20 წლის ერიკა კოლინზი ახლობლების, ნათესავებისა და მეგობრების თანხლებით გამოვიდნენ ეკლესიიდან, სადაც ჯვარი დაიწერეს. გაიარეს თაღქვეშ, რომელიც ნიჩბებისგან აღმართეს ავსტრალიის ნიჩბოსანთა ნაკრების წევრებმა, სურათები გადაიღეს და ლამაზად მორთულ მანქანაში ჩასხდნენ. ოღონდ ეს იყო, ახალდაქორწინებულთა ღიმილს ძლივს შესამჩნევი ნაღველიც ერია. საქმე ისაა, რომ ამ ქორწილამდე სულ ცოტა ხნის წინ მაკ უირტერს უკურნებელი სენი — ღვიძლის კიბო გამოაჩნდა. ექიმებმა დაადგინეს, რომ მან შეიძლება, დიდი-დიდი, კიდევ ექვს თვეს იცოცხლოს. ეს ნაშინელი გასაჩენი ნეფემაც იცოდა და პატარძალმაც.

ფეხბურთელთა პირადი ცხოვრება

რაც ამბობენ, ფეხბურთში უკვე დადგა მომენტი, რომ ქალთა საზოგადოებას მეტი ყურადღება მიექცეს. მრეწველობის ბევრი დარგი დიდი ხანია ამ გზას დაადგა (ევა მთავარ ფიგურად იქცა). ამას წინათ იტალიის ფეხბურთის ლიგამ გამოკითხვა მოაწყო, რომელიც სრულიად მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: თურმე მაყურებელთა რიცხვი და ფულადი შემოსავალი მხოლოდ მაშინ გაიზრდება, როცა ქალები მასობრივად დაიწყებენ სიარულს სტადიონებზე.

ამ ერთი წლის წინ ჯიჯი რივამ, იმ პერიოდის ყველაზე პოპულარულმა ფეხბურთელმა, ფეხი მოიტეხა, მინდორზე ვეღარ გამოდიოდა და მისი გუნდი „კალიარი“ ყოველ მატჩში ჩვეულებრივი შემოსავლის 20 პროცენტს მაინც კარგავდა. განა გუნდი ახლა უფრო ცუდად თამაშობდა? არა. „ქალები აღარ დადიან მატჩებზე“, — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა.

მაშ ასე, დადგა დრო ფეხბურთის გავლენის სფეროს გაფართოებისა. ფეხბურთმა უნდა მოიპოვოს ქალთა „ბაზარი“, თუნდაც საამისოდ კინემატოგრაფიული მეთოდების გამოყენება გახდეს საჭირო. ხომ შეიძლება ბეტგას, მაგალითად, მარჩელო მასტროიანნივით გაეწიოს რეკლამა? მაშინ, რასაკვირველია, ქალები მეტი ინტერესით დაესწრებიან მატჩებს.

საძირკველი უკვე ჩაყრილია. 31 წლის ბერგამოელი ფეხბურთელი ანჯელო დომენგინი სილამაზით ეშმაკს უფრო ჰგავს, ვიდრე აპოლონს. გუნდის ექიმმა მას „კუნთების კონის“ ეძახის, მაგრამ ამ უცოლშვილო მილიონერის ფოტოსურათებს გაზეთების პირველ გვერდებზე ბეჭდავენ. ამ ფოტოსურათებზე დომენგინი ფეხბურთელის ფორმით როდია აღბეჭდილი. მას ხან სახელგანთქმული ელზა მარტინელი უმშვენებს მხარს, ხან ოდილ როდენი, რომელთაც ბევრი სამიჯნურო თავგადასავალი გადაუტანიათ ყველაზე ცნობილ მოარშიყეებთან. ამ ფოტოსურათების ქვეშ დაბეჭდილია გაცილებით ნაკლებ უწყინარი ისტორიები, ძველი და ახალი, ტყეული და მართალი ამბები, ჩემპიონის საეჭვო თავგადასავლები უწლოვან გოგონებთან და მშვენიერ ქერათმიან ასულებთან.

ფეხბურთელები სულ უფრო ხშირად გვხვდებიან ბულვარული ჟურნალების გვერდებზე სტრიპტიზის, ვარსკვლავთა ნაცვლად. რეკლამა მიზანს აღწევს. სტადიონების ტრიბუნები გაჭედილია ქალებით, რომლებიც გულმხურვალედ უჭერენ მხარს თავიანთ კერპებს. გასახდელიდან გამოსული ფეხბურთელები მყისვე თაყვანისმცემელთა ალყაში ექცევიან. ყველაზე თავშეუკავებელი გულშემატკივრები ხანდახან სამხატვრებიც შეცვივდებიან ხოლმე.

იტალიის ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელს ჯიჯი რივას ყოველდღე რამდენიმე ასეული წერილი მისდის. გამუდმებით წკრიალებს ტელეფონის ზარი: „ამ საღამოს თავისუფალი ხარ?“, „რომელ ეკლესიაში იქნება ხვალ თქვენი გუნდი წირვაზე?“

პროფესიონალ ფეხბურთელს ქალების შემოტევისგან ვერც კლუბის ხელმძღვანელთა და მწვრთნელთა სიმკაცრე იცავს, ვერც თვითკონტროლი.

სამაგიეროდ, გულშემატკივარი კაცები თავიანთ კერპებს ყველაფერს მიუტევებენ — შეცდომებსაც, წაგებასაც, დოპინგის ხმარებასაც კი (თუ ამას გამარჯვება მოსდევს), მაგრამ სიყვარულს ვერასგზით აპატიებენ. გულშემატკივრებს სურთ ფეხბურთელები ასკეტები იყვნენ და ცოუნებას არ აპყვნენ. ასევეა ესპანეთში, სადაც საყვარელ ტორეადორს მშვენიერთა სქესისადმი ოდნავ ზედმეტ ყურადღებასაც არ აპატიებენ ხოლმე.

იტალიაში ჯერ კიდევ 30-ან წლებში შეიქმნა ერთი ძალიან პოპულარული სიმღერა, რომელიც ფეხბურთის ჩემპიონებს აფრთხილებდა, სიყვარულსა და ქალებს ერიდეთო. მაგრამ ეს შეგონება ბევრმა ვარსკვლავმა როდი შეისმინა. სახელგანთქმული არგენტინელი რენატო ჩეზარინი, რომელიც „იუვენტუსში“ თამაშობდა და მატჩის ბოლო წუთებში კადამწყვეტი გოლები გაჰქონდა, ტურინის ყველაზე არისტოკრატ ქალიშვილებს დააჭრელებდა თავისი „იზოტა ფრასკინოთ“. საჭეს თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი, გაფუჭული შოფერი უჯდა. იმავე 30-ან წლებში ხელიდან ხელში გადადიოდა ერთი საეჭვო რომანი ცენტრალურ თავდამსხმელზე, რომელიც წიგნის ფინალში სამიჯნურო პაემნიდან დაბრუნებული ძლივს ასწრებდა ტაქსის დაჭერას, სტადიონზე მისვლას უკვე მატჩის დაწყების შემდეგ, სწრაფად გადაიცვამდა და თამაშში ებმებოდა, რათა ორი ბრწყინვალე გოლი გატანა. ფიქრობდნენ, რომ ამ საფეხბურთო დონ-ჟუანში ავტორმა იმ ეჭვქის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი მეაცა იგულისხმა. ეს „გმირობა“ იქნებ მართლაც შესაძლებელი იყო იმ დროს, როცა მატჩები ტანგოს რიტმში ტარდებოდა, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთის პირობებში ასეთი რამ აშკარა ზღაპარია.

დღეს, როგორც ჩანს, ფეხბურთელის პირადი ცხოვრება ორი გზით უნდა წარიმართოს. ერთი გზა ასეთია: ჩვენი გმირი თავისი სპორტული კარიერის დასაწყისშივე უნდა დაქორწინდეს და მერე ილაპარაკოს: როცა გოლს გავიტან ხოლმე, ჩემი ცოლის მადლობელიც ვარო; მეორე გზა: ფეხბურთელი უცოლშვილოთა რიგებს უნდა შეემატოს ამ უკანასკნელთა შორის გამოირჩევიან „ოქროს ბიჭები“, რომელთაც ეჭვიანი გულშემატკივრები მუდმივად ერთ ქალთან კავშირსაც კი უშლიან. ყველას კარგად ახსოვს ჯანი რივერასა და მისი მომხიბლავი სტიუარდესას ირენ ძარპანელის ისტორია (სურათზე სწორედ მათ ხედავთ). რივერამ ძარპანელი თვითმფრინავში გაიცნო და ერთის ნახვით შეუყვარდა, მაგრამ ფულშემატკივრებმა მშვენიერ ქერა ქალიშვილთან ნაცნობობა არ აპატიეს.

ამ რამდენიმე წლის წინ თითქმის მთელი იტალია ადევნებდა თვალყურს 21 წლის რომანტიკული არგენტინელის სამიჯნურო თავგადასავალს. ანტონიო ვალენტინ ანჯელილოს სამშობლოში „მაცდური სახის ანგელოზს“ ეძახდნენ. მან დროზე ადრე დატოვა საფეხბურთო მინდორი ღამის კლუბის მომღერლის გამო, რომლის სიყვარულსაც, ვინ იცის, რამდენი გოლი შესწირა. თუ ისტორიას უფრო ღრმად ჩავდევთ, კიდევ ბევრ ასეთ უსიამოვნო თავგადასავალს წავაწყდებით. მაგალითად, რომში მოთამაშე ურუგვაელი ფეხბურთელი ალჩიდე გიჯა უწლოვანთან კავშირის გამო გასასამართლეს. ბევრჯერ შეემთხვა სკანდალი ლოთიკონოს, რომელსაც ლამაზი მოცეკვავე ქალების, განსაკუთრებით, ზანგი გოგონების წინ მიპატიჟება უყვარდა.

ტურინში მოთამაშე ინგლისელები ბეიკერი და ლოუ ერთ დამეს საათში 100 კილომეტრის სიჩქარით მიაქროლებდნენ მანქანას და გარიბალდის მონუმენტს შეასკდნენ. მანქანის ნამტვრევებიდან ორი დასისხლიანებული ფეხბურთელის გარდა ძლივს გამოძვრა „ვია ვენეტოზე“ ძალიან კარგად ცნობილი ორი ქერა ლამაზმანიც. ეს ქალები იმ სუპერგულშემატკივართა რაზმის წარმომადგენლები იყვნენ, ყველა გუნდს რომ ჰყავს და ყველა ქალაქში რომ მოგზაურობენ. მაგრამ ქალები ქალებად რჩებიან. მათ შეეძლიათ სწრაფად შეიცვალონ გუნდები და ერთდროულად რამდენიმე გუნდსაც კი გაუწიონ გულშემატკივრობა.

სერჯო დი ბატისტა,
იტალიელი ჟურნალისტი.

რედაქტორი მ. ბაკაბაძე.

ოჯილისის სპორტულ ბუზიზზე

მოგზაურთი. თემქ-ის დასახლების სტადიონი. დღეს: სსრ კავშირის პირველობა „ბ“ ჯგუფის გუნდებისთვის. „ოვერია“ (თბილისი) — „კასპი“ (ბახჩისარაი). დასაწყისი 18 ს.